ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 40 (10234) 16 ოქტომბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

მთისპირში სოფლის ყოფილი გამგებელი დავით დარჩიას დაუპირისპირდა

გასულ კვირას, სოფელ მთისპირის მოსახლეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატს „ქართული ოცნებიდან“ ბეგი სიორიძეს შეხვდა. სოფლის ცენტრში თავი მოიყარეს ამომრჩევლებმა ვანისქედიდან, უკანავადან, ოქროსქედიდან და სხვა უბნებიდან.

შეხვედრა გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ გახსნა, რომელმაც ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში, და მათ შორის სოფელ მთისპირში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა.

ოზურგეთის მერობის კანდიდატმა ბეგი სიორიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ფამფალეთი-მთისპირის გზის სამუშაოები, რომლის მეორე ეტაპი ამჟამად მიმდინარეობს სრულდება, მომავალ წელს დაიწყება მესამე ეტაპი და სოფელ მთისპირს ექნება კეთილმოწყობილი გზა.

– მე არ მიყვარს დაპირებები, რასაც დაგპირდებით, აუცილებლად შევასრულებთ. 2018 წლის ბოლომდე ყველა სოფელში უნდა შევიყვანოთ ბუნებრივი აირი –აღნიშნა მან.

იმ დროს, როდესაც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვლადიმერ ჩავლეიშვილი თავის ამომრჩევლებს სიტყვით მიმართავდა, შეხვედრაზე ინციდენტი მოხდა. სოფლის ყოფილი გამგებლის, ავთანდილ მახარაძის კრიტიკის ობიექტი „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია და სოფლის ამჟამინდელი დეპუტატი იყო.

–რა გააკეთეთ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია ნაციონალი კადრებით გაავსეთ. კაცი, რომელიც 2009 წელს დაჭერას მიპირებდა (მაშინ ნინო ბურჯანაძის პარტიაში ვიყავი), თქვენ სიაში გყავთ–ემოციებს ვერ თოკავდა ავთანდილ მახარაძე.

რამდენიმეწუთიან ხმამაღალ კამათს, მთისპირელთა რეაქცია მოჰყვა და ავთანდილ მახარაძეს მისი გამგებლობის დროს სოფლისთვის წართმეული შავიზღვისპირეთის (კაპრუანი) მიწები შეახსენეს.

ირაკლი ტარიელაძის მკვლელობის მიზეზად მიწის ნაკვეთისთვის დავა სახელდება

სოფელ გურიანთაში 8 ოქტომბერს, დაახლოებით 24 საათზე საზარელი ტრაგედია მოხდა, 28 წლის ირაკლი ტარიელაძე სანადირო თოფით საკუთარ ეზოში მოკლეს, მკვლელობის მიზეზად მიწის ნაკვეთისთვის დავა სახელდება.

გარდაცვლილის ახლობლები ამ საქმეში ხელს ადებენ მეზობელს, ვისთანაც ირაკლის ხანგრძლივი დავა ჰქონდა. ირაკლი ტარიელაძე ეკომიგრანტი იყო. რამდენიმე წლის წინ ირაკლის ძმა ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყვა და ეტლს მიეჯაჭვა. ძმის ოჯახს ირაკლი ინახავდა. გამრჯე ახალგაზრდა იყო და ტენდერში გამარჯვებით მოახერხა სოფელში წლების მანძილზე დაუმუშავებელი 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთის შეძენა. დამუშავება რომ დააპირა, მეზობელი აუხირდა, შენ ვინა ხარ, გუშინდელი მოსული, ეს მიწა მე მეკუთვნოდა და დათმობა მოგიწევსო. ასე დაწყებულა კონფლიქტი, რომლითაც პოლიცია არ დაინტერესებულა. იმ მეზობელს კიდევ სამი სხვა მეზობელი ამოდგომია გვერდით და ირაკლის აიძულებდნენ მიწის ნაკვეთის დათმობას. ემუქრებოდნენ, მიწა მოგვეცი. ირაკლი გარიდებია, სოფლიდან ბათუმს წასულა და

მამამისთან ერთად მშენებლობაზე დაუწყია მუშაობა. ზაფხულში ერთხელ ჩამოსულა სახლში, გაუგიათ იმ მეზობლებს და ოზურგეთის ცენტრში დაუბარებიათ. დათქმულ ადგილზე მარტო წასული ტარიელაძე ერთ-ერთს დანით დაუჭრია მუცლის არეში. სავარაუდოდ, ეს ფაქტიც ცნობილი ყოფილა პოლიციისთვის, თუმცა, გამოძიებით თავი არავის შეუწუხებია. ირაკლი იძულებით დაბრუნებულა ბათუმს და საერთოდ აღარ აპირებდაო აქეთ ჩამოსვლას. დაურეკავთ, ჩამოდი, შევრიგდეთო. დაახლოებით 23 საათისთვის ჩამოსულა, მანქანა ეზოში შეუყენებია და როგორც კი გადმოსულა, უსროლიათ. სასწრაფო დახმარებას ცოცხალისთვის ვეღარ მოუსწრია.

სოფელ გურიანთაში გავრცელებული სხვა ინფორმაციით, ირაკლი ტარიელაძეს გადაღობილი ჰქონდა მდინარისპირა ზოლი და ადგილობრივების პირუტყვი წყლის დასალევად ვერ ჩადიოდა მდინარემდე. თხოვეს, ღობე ცოტათი გადაეწია და ბილიკი დაეტოვებინა, რაზეც ტარიელაძე წინააღმდეგი წასულა. ამას მოჰყოლია ჯერ მუქარა, შემდეგ დაჭრა, ბოლოს კი ის ტრაგედია, რაც რამდენიმე დღის წინ დატრიალდა.

ერთ-ერთ მედიასაშუალებაში ანონიმური წყაროები ამბობენ იმასაც, რომ დაპირისპირება ქურდულ სამყაროსთან ურთიერთობასაც უკავშირდებოდა.

მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის 108-ე მუხლით არის აღძრული, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე

11 ოქტომბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედუში, მკვლელობა მოხდა. საკუთარ ავტომობილში მოკლეს ქ. ოზურგეთში, კოსტავას ქუჩაზე მცხოვრები მერაბ ღაჟონია. როგორც ამბობენ, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა და მკვლელმა მას გულის არეში ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ „მედალფას“ კლინიკაში გადაიყვანა, მაგრამ

იგი საავადმყოფოში მიყვანისას უკვე გარდაცვლილი იყო.

პოლიციამ მკვლელობის საქმეზე მეორე დღეს 22 წლის ახალგაზრდა დააკავა. მომხდარზე ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

ოლეგ ღაჟონიამ 1988 წელს დაამთავრა ქ. ოზურგეთის №4 საშუალო სკოლა. ამჟამად იგი ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა. მას მეუღლე 2 წლის წინ გარდაეცვალა. ჰყავს 2 შვილი.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისავან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

დაბა ლაითურში თურქული სკოლა იხსნება?



ამ მეტად სენსიტიურ თემაზე გაზეთ „ალიონის“ რედაქციას ლაითურელმა **ლევან დუმბაძემ** აცნობა.

– ძალიან დიდ დაპირისპირებაში ვარ. დაბა ლაითურის მე-9 რაიონში თურქული სკოლის გახსნას გეგმავენ. ლაითურის სკოლიდან 10-ზე მეტი ახალგაზრდა თურქეთში სწავლობს რელიგიურ სასწავლებელში. დაბაში ჯამეც არის და რელიგიური სკოლაც. მოდის ვიღაც თურქეთის მოქალაქე. იქ ერთი სახლია, მეპატრონე უკრაინაში ცხოვრობს და სახლს ჰყიდის. უნდათ იმ სახლში გახსნან. ადგილობრივი მაჰმადიანებიც არ არიან ამ სკოლის გახსნის მომხრეები, რადგან ლაითურის ჯამესთან არსებულ სკოლას საკმარისად თვლიან რელიგიური განათლების მისაღებად. მიკვირს ამ თემით რატომ არ არიან დაინტერესებული სამთავრობო და შესაბამისი დაწესებულებები? – გვითხრა დუმბაძემ.

დაბა ლაითურის მაჟორიტარმა დეპუტატმა **რესან გაბაიძემაც** დაგვიდასტურა დაბის მაჰმადიანი მოსახლეობის უარყოფითი განწყობა აღნიშნული სკოლის გახსნის მიმართ.

–ამ თემაზე გურია-ქობულეთის მეჯლისის თავმჯდომარე ასლან ბერიძესთანაც იყო რამდენჯერმე მსჯელობა. ჩვენ ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას ყველგან ვაფიქსირებთ, რადგან დაბა ლაითურის ჯამესთან არის საზაფხულო სკოლა, სადაც ბავშვები საჭირო ცოდნას იღებენ. ისე, ბოლო პერიოდში შეინიშნება ცალკეული პირების გააქტიურება, რაც საარჩევნო ხმებს უნდა უკავშირდებოდეს.

–პირველად მესმის თქვენგან ასეთი რამ, საერთოდ არ ვფლობს ინფორმაციას დაბაში თურქული სკოლის მშენებლობის შესახებ, –გვითხრა დაბა ლაითურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“ **გიორგი ჩაგანავამ.**

ბიოლოგი ნინო ინასარიძე მოსახლეობას სახლის პირობებში ფაროსანას გასანადგურებლად რეკომენდაციებს აძლევს

თუ არ დავიზარებთ, ყოჩაღად მოვიქცევით და ფაროსანას სახლებში გავანადგურებთ, ცხადია, გაზაფხულზე გაცილებით ნაკლები იქნება მისი რაოდენობა, - ამის შესახებ ”ინტერპრესნიუსს” ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ს გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების სბაკალავრო და მაგისტრატურის პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ინასარიძემ განუცხადა:

„ეს მწერი არ არის არც მკბენარი და არანაირ ალერგიას არ იწვევს, არ უშვებს სუნს თუ არა დაჭყლიტე. მასთან შეხება არ იწვევს არანაირ ალერგიულ რეაქციას. ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ ეყრდნობა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების და ჩემი, როგორც ბიოლოგის, განცხადებებს, ეს არის საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკიდან აღებული ინფორმაცია. უკვე დიდი ხანია, ამერიკასა და იტალიაში ებრძვიან აღნიშნულ მწერს და არსად დაფიქსირებულა, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის რაიმე ზიანი მიეყენებინა”.

მისივე თქმით, ერთადერთი გზა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ერთადერთი გზა არის ის, რომ მისი რაოდენობა შევამციროთ მექანიკური საშუალებებით. ეს შეიძლება იყოს ცოცხით კედლიდან ჩამოღება, მტვერსასრუტით შეგროვება და ა.შ. უნდა მოვაგროვოთ და აუცილებლად გავანადგუროთ. ის ადვილად არ ემორჩილება ასეთ შეტევებსაც კი, ამიტომ განადგურება აუცილებელია. თუ საქმე ეხება ფაროსანას დიდ რაოდენობას, რაც დაფიქსირებულია დასავლეთ საქართველოში, იქ უკვე შეგვიძლია ვიმოქმედოთ სახლის ხაფანგების მეთოდებით, რომლებიც ძალიან ადვილი დასამზადებელია. შესაძლოა, ეს იყოს ღამით დატოვებული ანთებული ფანარი რაიმე სახის ჭურჭელთან ერთად, , ასევე შეიძლება იყოს ქაფიანი წყალი, რომელიც ჯამში მოთავსდება და დანათებული აქვს სანათი. ანუ ფაროსანას ბიოლოგია არის ის, რომ ის მიდის სინათლეზე. ანუ თუ ღამით დავტოვებთ სანათს ისე, რომ მივიდეს ნათურასთან, რომელიც იქნება ცხელი, ფაროსანა ჩამოვარდება და ჩავარდება ქაფიან წყალში, ის განადგურდება ავტომატურ რეჟიმში. გარდა ამისა, იქ, სადაც ეზოები აქვს მოსახლეობას, რეკომენდებულია მუყაოს ყუთების დადგმა, რომელსაც აქვს ხვრელები. მწერს ამ შემთხვევაში უჩნდება სახლის ასოციაცია და გროვდება ყუთში. ვფიქრობ, ეს მიდგომა ძალიან ეფექტურად იმუშავებს. ზამთარში აზიური ფაროსანა, ერთეული შემთხვევების გარდა, არ დაფრინავს, იბუდებს და იძინებს. შესაძლოა, ფრენის ერთეული შემთხვევები იყოს, ვიდრე დაიძინებს ფაროსანა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მთელი მისი პოპულაცია ზამთარში შედის ძილის ფაზაში. სწორედ ამიტომ არის ახლა აქტიურად გამოფენილი, რომ დათბა და იმარაგებს საკვებს, ძლიერდება და ემზადება ძილისთვის. თუ არ დავიზარებთ და სახლებში გავანადგურებთ, ცხადია, მ გაზაფხულზე გაცილებით ნაკლები იქნება. მრაც შეეხება სახელმწიფოს როლს მწერთან ბრძოლაში, ნინო ინასარიძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს როლი ამ ყველაფერში დიდია, ძირითადად საინფორმაციო კამპანიის და სწავლების კუთხით.

„აზიური ფაროსანას თემა არის ისეთი საკითხი, რომელშიც რაც არ უნდა დიდი ძალისხმევა გამოიჩინოს სახელმწიფომ, შეუძლებელია დაამარცხოს მოსახლეობის აქტიური ჩარევის გარეშე. სახელმწიფო ყველა სახლში ვერ შევა და რომც შევიდეს, სახლებს ქიმიურად ვერ და არ შეწამლავს. მწერს უნდა ებრძოლოს მოსახლეობა ტექნიკური საშუალებებით, უბრალოდ მას სახელმწიფო უნდა მიეხმაროს და ასწავლოს, როგორ არის უმჯობესი. საუბარი არ არის პლანტაციებზე, სადაც სახელმწიფომ შეიძლება კეთილი ნება გამოიჩინოს და დაეხმაროს მოსახლეობას წამლის დარივებით, ვინაიდან ამ ეტაპზე ის არ იყიდება. ასეთი ტიპის პრაქტიკული დახმარებები მნიშვნელოვანია, თუმცა ჩემი პირადი აზრით და მსოფლიო სპეციალისტების რჩევით, სახელმწიფოს ძირითადი როლი ის არის, რომ დროულად მიაწოდოს ინფორმაცია, გააკეთოს პრევენცია და მოსახლეობას ასწავლოს მწერთან ბრძოლის მეთოდები. დამერწმუნეთ, ის, რასაც აკეთებს ჩვენი სახელმწიფო, არის გაცილებით მეტი, ვიდრე შეიძლებოდა გაეკეთებინა ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის მთავრობას”, - განაცხადა ნინო ინასარიძემ.

მგალობელ-მომღერალთა ანსამბლ „შემოქმედის“ პირველი აუდიო ალბომის წარდგენა

10 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა მგალობელ-მომღერალთა ანსამბლ „შემოქმედის“ პირველი აუდიო ალბომის წარდგენა. ალბომი გამოიცა საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ ორგანიზებით და ხელშეწყობით.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ: ცნობილი პიანისტი **ლექსო თორაძე**, რეჟისორი **რობერტ სტურუა**, ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი **გიორგი დონაძე, ანზორ ერქომაიშვილი,** ფონდ „ქართული გალობის“ ხელმძღვანელი **ნანა გოთუა,** ბიზნესმენი **ვანო ჩხარტიშვილი** და სხვები.

მგალობელ-მომღერალთა ანსამბლი „შემოქმედი“ შემოქმედის ეპარქიის საკათედრო ტაძრის სამეუფეო გუნდის ბაზაზე, 2007 წელს ჩამოყალიბდა. 2014 წლიდან ანსამბლს რამდენიმე გამოცდილი მომღერალი დაემატა და წევრებმა ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა, უძველესი ვარიანტების მოძიება-აღდგენაც დაიწყეს. ამ პერიოდიდან „შემოქმედი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის ცენტრის სახელითაც აგრძელებს საქმიანობას. ანსამბლის კონსულტანტი გახლავთ მომღერალი და ლოტბარი **გური სიხარულიძე**. „შემოქმედის“ ხელმძღვანელი – **ლაშა ჩხარტიშვილი** და თანაშემწე – **მამუკა სირაძე** გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან.

„შემოქმედის“ მიზანი ქართული საეკლესიო გალობის, უპირატესად, ადგილობრივი – შემოქმედის სკოლის ნიმუშების შესწავლა, ღვთისმსახურებაში დაბრუნება და ძველი გურული სიმღერების მომავალი თაობისათვის გადაცემა.

ანსამბლი წარმატებით გამოდის ტრადიციული მუსიკის კონცერტებსა და საღამოებზე, მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში; 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ დათვალიერება-ფესტივალზე „შემოქმედი“ პირველი ადგილის მფლობელი გახდა - ნომინაცია: „ხალხური სიმღერის ახალგაზრდული ანსამბლი“.

ჩოხატაურში ბორის პაიჭაძის ძეგლი გაიხსნა

12. ოქტომბერს დაბა ჩოხატაურში ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლანჩხუთის "გურიასა" და ოზურგეთის "მერცხალის" ახალგაზრდულ გუნდებს შორის ფინალური მატჩი გაიმართა. პირველობა კი ლანჩხუთის „გურიას“ ხვდა წილად. მატჩის დასრულების შემდეგ ტურნირში მონაწილე საფეხბურთო გუნდები თასებით, მედლებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ. საზეიმოდ გაიხსნა ბორის პაიჭაძის ძეგლი.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართული ფეხბურთის ლეგენდებმა, თბილისის დინამოსა და ლანჩხუთის გურიას ვეტერანმა ფეხბურთელებმა, ბორის პაიჭაძის ოჯახის წევრებმა და პაიჭაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებმა. ჩოხატაურს ასევე ესტუმრნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პირები და გურიის მხარის ხელისუფლების წარმომადგენლები.

„დღეს ლეგენდარული ფეხბურთელის - ბორის პაიჭაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩოხატაურში მისი ბიუსტი გავხსენით. მინდა მადლობა გადავუხადო ლეგენდარულ ფეხბურთელებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მხარდაჭერისთვის და ყველა იმ მონაწილეს, ვინც თავისი წვლილი შეიტანა დღევანდელი დღის ორგანიზებაში“,- განაცხადა გურიის გუბერნატორმა, **მერაბ ჭანუყვაძემ.**

ღონისძიების შემდეგ სტუმრებმა "ნენას" ქარხანაში გადაინაცვლეს, დაათვალიერეს საწარმო და "ნენას" პროდუქცია დააგემოვნეს.

გამარჯვებაში დარწმუნებული, სხვადასხვა პარტიის დეპუტატობის კანდიდატები სამომავლო გეგმებზე გვიყვებიან

მარი კოძოევი

ჩვენი გაზეთი განაგრძობს დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრას. გასული კვირის ორშაბათს მკითხველს უპარტიო, დამოუკიდებელი კანდიდატების მოკლე ინტერვიუები შევთავაზეთ. ამჯერად იმათ შევხვდით, ვინც სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის წარდგენით იყრის კენჭს. თითოეულ მათგანს არჩევნებში მონაწილეობის მოტივაციასა და გამარჯვების შემთხვევაში სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ. ასევე წინასაარჩევნო გარემოს შეფასება ვთხოვეთ.



როზეტა სკამკოჩაიშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფ. დვაბზუში: – ამჟამად ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოქმედი საკრებულოს წევრი და აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს საქმიანობაში.ხელახალი ნდობა, რომელიც მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველომ" გამომიცხადა , უფრო მეტად მოტივირებულს მხდის, რათა ოზურგეთის და ჩემი სოფლის განვითარებისთვის კიდევ უფრო მეტი გავაკეთო. მოტივაციას მაძლევს ჩემი დვაბზუელები,ჩემი ამომრჩევლები,რომელთა წინაშეც ვფიქრობ ღირსეულად განვახორციელე ჩემი უფლებამოსილება.არ მოსულა ჩემთან არც ერთი მოქალაქე, რომელიც უყურადღებოდ დამეტოვებია. ჩემი სტიმულია 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება,სადაც 58% მეტი მივიღე. ვფიქრობ, 21 ოქტომბერს დვაბზუს მოსახლეობა სწორ არჩევანს გააკეთებს.

მინდა გითხრათ, რომ ჩემი არჩევის შემთხვევაში პრიორიტეტი იქნება ისევ სოფლის პრობლემების მოგვარება. დვაბზუს, გაღმა დვაბზუს და დვაბზუს ნასაკირალის მოსახლეობის პრიორიტეტების წარმოჩენა.განაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს.პირობა,რომელიც დავდე არჩევნებამდე დვაბზუს ნასაკირალის მოსახლეობასთან შევასრულე, მათი დიდი პრობლემა ბაღის საკითხი გადაწყვეტილია. დვაბზუს ნასაკირალში შენდება ახალი საბავშო ბაღი, რომელიც ჩემი დიდი ძალისხმევით და ხელისუფლების მხარდაჭერით განხორციელდა.ასევე დვაბზუს და გაღმა დვაბზუს საჯარო სკოლების გარკვეული ფართი ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში რეაბილიტირდა. სოფელში მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და ბევრ მოქალაქეს გაეწია დახმარება. ვფიქრობ, გაკეთებული ძალიან ბევრია სოფელში და მოსახლეობაც ხედავს ამას.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ისევე ,როგორც მთელ საქართველოში დვაბზუშიც მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს.საარჩევნო პროცესი ყველა სუბიექტისთვის კანონმდებლობის სრული დაცვითა და ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ხორციელდება.

ნოდარ ვაჩნაძე - „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" დეპუტატობის კანდიდატი სოფელ გურიანთაში: მაქსიმალურად მინდა გამოვადგე ჩემ სოფელს, ღირსეულად გავაკეთო საქმე გურიანთის და საქართველოსთვის

ჩემს სოფელში ამ ეტაპზე ნომერ პირველი პრობლემა აზიური ფაროსანაა. დამთავრებული მაქვს სატყეო ფაკულტეტი. გამოვიყენებ ჩემს ცოდნას ამ მიმართულებით. ვგეგმავ სპეციალისტების ჩამოყვანას, რომელებიც ადგილზე შეისწავლიან მდგომარეობას და დადებენ ზუსტ დასკვნას როგორ, რომელი პრეპარატით უნდა ვებრძოლოთ მავნებელს.

კმაყოფილი ვარ ჩემი თანასოფლელების მხარდაჭერით. ბევრი დამიდგა გვერდით. ვფიქრობ, რომ გამარჯვების რეალურუ შანსი მაქვს. შემიძლია ამ ეტაპზე ვთქვა, რომ წინასაარჩენო პროცესი სამართლიანად მიმდინარეობს. ყოველ შემთხვევაში რაიმე დარღვევის, ადმინისტრაციული რასურსის გამოყენების შესახებ ჩემთვის ცნობილი არ არის.

ბექა თოიძე - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს"

დეპუტატობის კანდიდატი სოფელ მაკვანეთში:. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, საკრებულო ეს არის საკუთარი თავის, როგორც ახალგაზრდა პოლიტიკოსის, რეალიზების ახალი შესაძლებლობა. მოგეხსენებათ, თვითმმართველობა ეს არის ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლება, რაც საშუალებას იძლევა, მოქალაქეთა თანამონაწილეობით, მივიღოთ მუნიციპალიტეტისათვის საჭირო და სასარგებლო გადაწყვეტილებები.

. მოგეხსენებათ, რომ ძლიერი სახელმწიფოს საწინდარი ძლიერი სოფელია. გამარჯვების შემთხვევაში ჩემი თავდაპირველი საზრუნავი და მიზანი ჩემი სოფლის გაძლიერება იქნება. მჭიდროდ ვითანამშრომლებ ადგილობრივ ხელისუფლებასა და ჩემს მაკვანეთელებთან და ერთობლივად გადავჭრით იმ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაც სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პრინციპული მიდგომაა, რომ არჩევნები სამართლიან და თანაბარუფლებიან პირობებში ჩატარდეს. თავადაც ხედავთ, რომ გარემო სამართლიანია და სახელისუფლებო პარტია საარჩევნო კოდექსის სრული დაცვით აწარმოებს საარჩევნო კამპანიას.

ალექსანდრე ღლონტი - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფელ მერიაში: ჩემი კანდიდატურის წამოყენების შეთავაზება სრულიად მოულოდნელად მივიღე „ქართული ოცნების" ადგილობრივი ლიდერებისაგან. ბევრი არ მიფიქრია და მივიღე გადაწყვეტილება გამოვიყენო შანსი საკუთარი სოფელი წარმოვადგინო გაერთიანებული მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ვფიქრობ, ეს მომცემს შესაძლებლობას რაღაც დოზით ხელი მიმიწვდებოდეს იმ ბერკეტებზე, რასაც ჩვენი, ჩემი თანასოფლელების ცხოვრების კიდევ უფრო უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია. პირველ რიგში, ვაპირებ, რომ ჩავერთო და მონაწილეობა მივიღო ყველა იმ პროექტის ბოლომდე წარმატებით მიყვანაში, რასაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა უკვე ახორციელებს ჩვენს სოფელში. თუმცა, გარდა დაწყებული საქმეებისა, კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოციალური კუთხით: შიდა გზების კეთილმოწყობა, სოფლის გაზიფიცირება, წყლით მომარაგება და ა.შ. აუცილებლად ვაპირებ, რომ გავიგო ყველა იმ პრობლემის შესახებ, რაც ჩემს სოფელში აწუხებს მოსახლეობას და შეძლებისდაგვარად ხელი შევუწყო მათ მოგვარებას.

მიმაჩნია, რომ საარჩევნო პროცესები მიმდინარეობს კონკურენტულ და სამართლიან გარემოში. ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე არსებული სიტუაცია ნამდვილად მაძლევს ამის თქმის საფუძველს, იმედი მაქვს ასე გაგრძელდება ბოლომდე. მე მაქვს საარჩევნო სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება და ვიცი ისიც, რომ საარჩევნო პროცესების მიმდინარეობაზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას, თუმცა სახელმწიფოს როლი მოვლენების მშვიდობიან განვითარებაში უმთავრესია და ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ამისთვის. რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს, სოფელ მერიაში წინასაარჩევნო პერიოდი თანაბარ კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს.

გიორგი როყვა - „ევროპული საქართველოს" დეპუტატობის კანდიდატი სოფელ ოზურგეთში: როდესაც 2012წელს მოვიდა ახალი ხელისუფლება, იყო იმედი იმისა, რომ ხელშესახები ცვლილებები განხორციელდებოდა ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით, სასამართლოს კუთხით და, რაც მთავარია უმუშევრობის კუთხით, რამაც ფართო მასშტაბის ხასიათი მიიღო, მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ სიტუაცია უფრო რთულადაა. ეს ყველაფერი დაგროვდა და აქედან გამომდინარე, მე გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში, უფრო მეტიც, მივიჩნევ, რომ ჩემი ვალია პოლიტიკაში ჩავერთო მაჟორიტარულ არჩევნებში იმ გუნდთან ერთად, რომლისთვისაც მთავარია პრინციპები და ღირებულებები და ეს ადამიანები არასდროს ღალატობენ ამ პრინციპებს და ღირებულებებს. შესაბამისად, გადავწყვიტე მოვიდე პოლიტიკაში, შევცვალო უკეთესობისკენ ვითარება და ჩემი წვლილი შევიტანო ცვლილებებში, რომლებიც, უპირველესად, გულისხმობს ადამიანის უფლებების დაცვას და უმუშევრობის დაძლევას. მჯერა, რომ არანაირი უკეთესი ეკონომიკა და ცხოვრება არ გვექნება ადამიანის უფლებების გარეშე. კონკრეტულად არჩევნებში გადავწყვიტე კენჭი მეყარა სოფელ ოზურგეთში, სადაც მე დაბადებიდან ვცხოვრობ და სადაც ბევრ ადამიანს ვიცნობ. დავამთავრე სოფ. ოზურგეთის საშუალო სკოლა. ჩემთვის პასუხისმგებლობა იქნება, რომ სოფელ ოზურგეთის ამომრჩევლები ღირსეულად წარმოვადგინო საკრებულოში და არამარტო საკრებულოში, დაუყოვნებლივ გადაიჭრას ნებისმიერი ადამიანის და მოსახლის პრობლემა და რეაგირება უმალვე მოხდეს მათი პრობლემების მოსაგვარებლად. გარდა ამისა, მომავალი არჩევნები ჩემთვის გარკვეული ინდიკატორი იქნება, რომ დავინახო, რამდენად დავიმსახურე იმ ადამიანების ნდობა და ხმა, რომლებსაც უკვე წლებია ვიცნობ და მათიც, ვისაც არ ვიცნობ.

კარგად მესმის დეპუტატის ვალდებულებები, ის არ არის აღმასრულებელი ორგანო, სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ უნდა ვიყო ჩემი ოლქის ხმა ხელისუფლებაში და დავიცვა მათი კანონიერი ინტერესები, დავიცვა ისინი უსამართლობისაგან და ლობირება გავუწიო სოფელ ოზურგეთში უმუშევრობის დაძლევას, წყალმომარაგების პრობლემას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

რა თქმა უნდ, ბრძოლა და მუშაობაა საჭირო განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც მოსახლეობისთვის არის მნიშვნელოვანი. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ამომრჩეველს გავუუმჯობესოთ ცხოვრების პირობები. სოფელ ოზურგეთის მოსახლეობას, რომელთა პრობლემებიც უკვე აღვნიშნე, ვპირდები, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის პერიოდში დაუყოვნებლივ დავაყენებ საკითხს გამოიყოს საბიუჯეტო თანხები ამ პრობლემების მოსაგვარებლად და ეტაპობრივად, პრიორიტეტების განსაზღვრით საბოლოოდ აღმოვფხვრი მათ.

არჩევნებამდე სულ ცოტა დრო რჩება და, რათქმაუნდა, ტემპერატურა იმატებს, მაგრამ საარჩევნო მზადება მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ოპონენტების მიმართ არ შეიმჩნევა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება.

ხმას ურნაში ნუ ჩაყვებით

პირდაპირ ვიტყვი: ასე ორად გაყოფილი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული და ურთიერთდაპირისპირებული ამომრჩეველი ოზურგეთს არ ახსოვს. ამ ხალხს, გუშინ რომ ერთმანეთს ტკბილად ესალმებოდა, დღეს ერთმანეთი ასე რამ შეაძულა?! ვაიპოლიტიკამ და უიპოლიტიკოსებმა ჭკუათმყოფელი ადამიანები ისე როგორ უნდა გადააგვაროს, რომ დღე და ღამე ერთმანეთს თვალებს უშტიმავდნენ – არა მე და არა შენო!

ამ გაღლეტილ წუთისოფელში დარჩა რამე გასაყოფი? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ საკუთარი ორბიტიდან გადავარდნილი ქვეყანა ცირკის არენას დაემსგავსა, სადაც ჩვენი პოლიტიკური ტაკიმასხარებისა და კასკადიორების ერთი ნაწილი ფინია ძაღლივით კუდს უქიცინებს ამერიკას, მეორე კი გუნდრუკს უკმევს რუსეთს?!

ესევ ჩვენი დამოუკიდებლობა!

მედროვეებით, წამსისინებლებით, მჩხავანა კატებითა თუ ნაწვიმარზე გარეთ გაგდებული ცინდლებით გაივსო საზოგადოება. მათი გადამკიდე, აღარც სოციალურ ქსელში შეიხედება და აღარც ქუჩაში გაივლება.

რომელ სახელმწიფოებრივობაზე, რომელ თვითმმართველობაზე, რომელ ქართველობაზე და რომელ ოზურგეთელობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ერთის თქმულ გამარჯობას, მეორე გინებას შეაგებებს, როდესაც ერთს მეორე ლანძღვა-გინებითა და მუქარით გაატარებს თავისი დამქაშების მიერ პროვოკაციულად მოწყობილ კორიდორში. არ მითხრათ ახლა, ეს დემოკრატიის თანამდევი პროცესია და არჩევნებს მოსდევსო. რა მოსდევს, კაცო, ღვარძლი, შური, ურთიერთსიძურვილი, ამბიცია, ახირება, ჭორი, ცილისწამება, ნერვების გლეჯა, უკაცრავად და, დედის ტ.... , მამის შიმშილი?!

თუ ასეა, ფუი ასეთ დემოკრატიას, ასეთ არჩევანსაც და არადანსაც!!!

ოზურგეთს ყოველთვის დარბაისელი საზოგადოება ჰყავდა. ახლა რა წაგეგიდათ, რა და ვინ შეგიჩნდათ ასეთი, რომ აღარც ყურთ გესმით და აღარც თვალთ გიჩანთ?! ერთი კვირაც და დამთავრდება ეგ ოხერი არჩევნები. ვისაც გინდათ და როგორც გინდათ, მიეცით ეგ თქვენი ხმა, მაგრამ ურნაში ნუ ჩაყვებით, რადგან მაინც ურნაა და, ბიულეტენებისგან განსხვავებით, იქედან თქვენი ამომღები არავინაა. ერთიც, არ დაგავიწყდეთ, რომ არჩევნებს იგებს და ნამდვილ დემოკრატიას აშენებს წესიერი, გაწონასწორებული, ვარგ ღვინოსავით დუღილდამთავრებული ამომრჩეველი და არა ერთ რაღაცაზე ცხრაჯერ გადამხტარი მჩხავანა კატები, რომელთა კრუსუნის ექო, სამწუხაროდ, ისევ და ისევ აბინძურებს ღია ეთერსა თუ მთლიანად გარემოს.

ანა სეულელი.

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	ურეკი	26.28.09.013	18	36,00	18,00	50,00	360,00
2	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები**	26.01.45.597	160	800,00	400,00	50,00	8000,00

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები**	26.01.48.237	462	1848,00	924,00	50,00	18480,00
2	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ლაითური	26.25.11.175	5 017	250,85	125,43	50,00	2508,50
3	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები**	26.01.51.241	120	480,00	240,00	50,00	4800,00
4	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა**	26.34.01.313	300	510,00	255,00	50,00	5100,00
5	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გარე სავარგულები*	26.36.01.046	35 574	1067,22	533,61	50,00	10672,2
6	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გარე სავარგულები*	26.36.01.047	27 200	816,00	408,00	50,00	8160,0
7	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გარე სავარგულები*	26.36.01.048	32 089	962,67	481,34	50,00	9626,7
8	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა**	26.34.01.244	18 350	917,50	458,75	50,00	9175,00
9	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა	26.01.79.166	2 100	63,00	31,50	50,00	630,00
10	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წასაკირალი	26.29.22.093	16 150	646,00	323,00	50,00	6460,00
11	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები	26.01.79.165	7 900	237,00	118,50	50,00	2370,00
12	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ბოხვაური, კაპრ**	26.01.53.210	805	201,25	100,63	50,00	2012,50
13	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ბოხვაური, კაპრ**	26.01.53.211	805	201,25	100,63	50,00	2012,50
14	სასოფლო-სამეურნეო მიწა	მთისპირი	26.24.14.083	14 552	727,60	363,80	50,00	7276,00
15	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ჭაწიეთი	26.15.08.116	25 000	750,00	375,00	50,00	7500,00
16	სასოფლო-სამეურნეო მიწა	მერია	26.05.36.252	900	45,00	22,50	50,00	450,00
17	სასოფლო-სამეურნეო მიწა	თხიწვალი	26.04.14.085	3 063	153,15	76,58	50,00	1531,50
18	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ლიხაური	26.16.17.245	6 309	315,45	157,73	50,00	3154,50
19	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ლიხაური	26.16.17.246	1 111	55,55	27,78	50,00	555,50
20	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა	26.02.16.087	2 500	125,00	62,50	50,00	1250,00
21	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები	26.01.76.240	2 000	100,00	50,00	50,00	1000,00
22	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები	26.01.71.074	30 000	1200,00	600,00	50,00	12000,00
23	სასოფლო-სამეურნეო მიწა	წატაწები	26.01.77.197	1 000	50,00	25,00	50,00	500,00
24	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ჯუმათი	26.08.05.210	4 282	214,10	107,05	50,00	2141,00
25	სასოფლო-სამეურნეო მიწა	შრომა	26.02.10.101	13 000	650,00	325,00	50,00	6500,00

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს ვადაგაგრძელებულ აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო მიწა	დაბა ურეკი	26.28.12.629**	41	492,00	246,00	50,00	4920,00

* - მიწის ნაკვეთი მდებარეობს რეკრიაციულ ზონაში
** - მიწის ნაკვეთი მდებარეობს საკურორტო-რეკრიაციულ ზონაში

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
აცხადებს აუქციონს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემაზე

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	გასაქირავებელი ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	გასაქირავებელი ქონების დირებულება (ლარი)
1	ფართი მუნიციპალურ საკ-ში არსებულ შენობაში	ლაითური	26.25.12.003	20,00	23,00	11,50	50,00	230,00

ჯარი

№	დასახელება	მდებარეობა	რაოდენობა ცალი	ხიგრძე მ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	ლითონის მილები , D=700	შრომა	4	12,00	45,00	22,50	50,00	450,00

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
„ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი.
"მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;
„ბე“-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე: 300908800
დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
"აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2017 წლის 12 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის 12 სთ-მდე;"
აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 10 ნოემბრის, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;
"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“
ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."

(დ)

იუბილე

ჩვენი მეგობარი ნოდარი 80 წლისაა!

ჩვენი მეგობარი, მრავალმხრივი მოღვაწე, ბატონი ნოდარ დონაძე 80 წლისაა. მას, როგორც პედაგოგს, მომღერალს, მუსიკოსს, პოეტს, ჟურნალისტს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება.

ნოდარ არტემის ძე დონაძე დაიბადა 1937 წლის 20 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ თხინვალში, მოსამსახურის ოჯახში. დედა – თინათინ ჭანუყვაძე მასწავლებელი იყო, მამა კი – დიდებული სახალხო მთქმელი და ლოტბარი, ვინაც თავისი შემოქმედებით გარკვეულწილად გაამდიდრა ქართული ხალხური პოეზია და მუსიკა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ნოდარმა სწავლა განაგრძო თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსის გავლის შემდეგ საზოგადოებრივ საქმიანობას შეუდგა მშობლიური სოფლის რვაწლიან სკოლაში მუსიკა-სიმღერის მასწავლებლად, პარალელურად, თავისი პროფესიით მუშაობდა ზემო ნატანების სკოლაში, თან ხელმძღვანელობდა ამ სკოლების მოსწავლეთა სიმღერის გუნდებს. შეთავსებით, 1970 წლიდან 1985 წლამდე იყო თხინვალის სასოფლო კლუბის გამგე. ამ წლებში ხელმძღვანელობდა საკოლმეურნეო მომღერალთა ანსამბლსაც. შვილებთან ერთად, ხშირად გამოსულა ოზურგეთის თეატრის სცენაზე საოჯახო ანსამბლების ღონისძიებებში. ორი ათეული წელი იყო გაზეთ „ლენინის დროშის“ (დღევანდელი „ალიონი“) თხინვალელი კორესპონდენტი. ჩვენს გაზეთში ის დღესაც მოღვაწეობს, წერს საინტერესო კორესპონდენციებს, აქვეყნებს საკუთარ შემოქმედებასაც.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. როგორც თვითონ ამბობს, მათი უმრავლესობა მუსიკალურებია. მუსიკალური ნიჭით განსაკუთრებით გამოარჩევს ნოდიკოს – სეხნია შვილიშვილს, თხინვალის საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელს, რომელიც ამავე დროს არის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის სკოლის მოსწავლე.

ცალკე თემაა ბატონი ნოდარის საკმაოდ მდიდარი შემოქმედება. გამოცემული აქვს ხუთი წიგნი: „მოგონებები“, „თხინვალი და თხინვალელელები“, „მიძღვნა“, „ჩემი პოეზია – სულის სიმფონია“, „იმედი – სულის ჯავარი“.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იუბილარი ახლა მეექვსე პოეტურ კრებულზე მუშაობს.

ხანგრძლივ სიცოცხლესა და კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ვუსურვებთ ბატონ ნოდარს.

ოჯახი – ჩემი სიცოცხლის წყარო

ჩემი ეზო და ჩემი სახლკარი,
ოჯახი – ჩემი სიცოცხლის წყარო,
შვილები: თინა, ნუგზარ, თამარი,
მათი იმედით ვცოცხლობ და ვხარობ.

ვხარობ სიცოცხლით და ისიც ვიცი,
რომ არყოფნაა გარდაუვალი,
მისთვის ვსულდგმულობ, ვარსებობ მისთვის,
რომ დარჩეს ჩემი სიცოცხლის კვალი.

ვეალერსები დახუნძლულ რტოებს,
ჩემი მარჯვენით ნალოლიავებს,
ჩემი შვილების იმედით ვტოვებ,
ჩემს შემდეგ რომ არ გაანიავებს.

როცა ვუცქერი ბაღს და ვენახებს,
ჩემი ხელებით ბევრჯერ შენახებს,
ვხედავ, ხალისით მაჩვენებს სახეს
და სიხარულის ბურანში მახვევს.

სიცოცხლის ბოლო ჟამი დადგება,
მოვწყდები ოჯახს, ჩემს ლამაზ მხარეს,
სიკვდილს ვერავინ გაუმკლავდება,
ნავსაყუდელი არის სამარე.

ჩემი ეზო და ჩემი სახლკარი,
ოჯახი – ჩემი სიცოცხლის წყარო,
შვილები: თინა, ნუგზარ, თამარი,
მათი იმედით ვცოცხლობ და ვხარობ.

ნოდარ დონაძე

„ბოშები“ ქუთაისში

სპექტაკლმა ქუთაისელი მაყურებლის გულიც მოიგო

ოზურგეთის თეატრში 2016 წლის ივლისში შედგა გიზო ჟორდანიას სპექტაკლის „ბოშები“ პრემიერა, რომელიც ამ სახელოვანი რეჟისორის უკანაკსნელი ნამუშევარი აღმოჩნდა. ბატონი გიზო ჟორდანია სპექტაკლის ანოტაციაში წერდა: „ - როგორც ბოშები მოექცნენ გურულებს, ეს მათი ცხოვრების წესიდან არის გამომდინარე. სიმპათიურნი, ქარიზმატულნი, ნიჭიერებით დაჯილდოებულნი სხვაგვარად ვერ იქცევიან... ქურდობა თუ ტყუილი მათი საარსებო საშუალებაა. ასეთებად გააჩინა ისინი მამაზეციერმა... გურულების პასუხი მათ ღალატზე, მაღალი ზნეობიდან გამომდინარე, მართლმადიდებლური, ზოგადქართულია. შემთხვევითი როდია დიდმა გალაქტიონმა გენიალური სტრიქონები, რომ მიუძღვნა ქართული მოდგმის ამ იშვიათ წარმომადგენლებს. . ოზურგეთი კი ის ქალაქია და მისი დრამატული თეატრი ის განსაკუთრებული ერთეულია, სადაც შემოქმედებითი ცხოვრება მაღალი იდეალებით სუნთქავს.“ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ვასო ჩიგოგიძის გადაწყვეტილებით თეატრი „ბოშებს“ მთელ საქართველოს უჩვენებს და ეს თეატრის მხრიდან მადლიერების გამოხატვაც არის რეჟისორ გიზო ჟორდანიას ხსოვნისადმი. „ბოშები“ უკვა ნახა ჩოხატაურის, გორის, ბათუმის და ქუთაისის მაყურებელმა. სპექტაკლი ქუთაისში 12 ოქტომბერს, 17 საათზე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე გაიმართა. სპექტაკლმა ქუთაისელი მაყურებლის გულიც მოიგო. ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელმა ბატონმა კოტე აბაშიძემ, სტუმარი თეატრის საპატივცენულოდ გამართულ ფურშეტზე ხაზგასმით აღნიშნა: „ - ბედნიერი ვარ, რომ ოზურგეთის თეატრის მასპინძლები ვართ, თეატრში სხვა თეატრის სტუმრობა არის მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა ქალაქის ცხოვრებაში. ძალიან დიდი მადლობა იმისათვის, რაც სცენაზე ხდებოდა. სპექტაკლის დასაწყისიდან წამებში დამყარდა ემოციური კონტაქტი მაყურებელთან, რაც ნადვილად არ არის ადვილი. დიდი მადლობა შემოქმედებითი თვალსაზრისით ოზურგეთის თეატრს ამ სპექტაკლისათვის, რომელსაც უზარმაზარი სევდაც თან ახლავს, რადგან ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი დიდი ქართველი რეჟისორის, დიდი ქართველი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის გიზო ჟორდანიას უკანასკნელი ნამუშევარია. დიდი მადლობა ოზურგეთის თეატრს იმისათვის, რომ ამ სპექტაკლს თავზე დაკანკალებს, აცოცხლებს, შემოქმედებითად სათუთად ინახავს, დიდი მადლობა იმ ენერგეტიკისათვის, რაც სცენიდან მოდიიოდა -დიდი ნოდარ დუმბაძის სამყარო, იყო სხვა თემებიც, ეს ყველაფერი იყო ძალიან ლამაზი, ინტელექტუალური შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე და ძალიანლამაზი საღამო გავაჩუქეს.!“ ბატონმა კოტემ ასევე შესთავაზა ოზურგეთის თეატრს, რომ ყველა პრემიერის მესამე ჩვენება ქუთაისში გაიმართოს. სპექტაკლის სცენოგრაფია ლომგულ მურუსიძე, მუსიკალური გაფორმება ცნობილ კომპოზიტორს გომარ სიხარულიძეს ეკუთვნის. სპექტაკლში ოზურგეთის თეატრის დასის თითქმის მთელი შემადგენლობა მონაწილეობს. სპექტაკლი აერთიანებს თეატრის ოთხივე თაობას. გიზო ჟორდანიას დადგმა გაჯერებულია მუსიკალური ფოლკლორითა და ნოდარ დუმბაძის მახვილგონივრული იუმორით. 13 ოქტომბერს ქუთაისის თოჯინების თეატრში გაიმართა ოზურგეთის თეატრის მსახიობის ბელა კიკვაძის მონოსპექტაკლი „ნეტავი დამბადებელო“ ვაჟა-ფშაველას მოთხრობების მიხედვით, რეჟისორი ვასო ჩიგოგიძე.

ლია პილაძე,
პრეს სამსახური

მილოცვა



ღვაწლმოსილ პედაგოგს, დამსახურებულ ლოტბარს, თხინვალის ისტორიისადმი მიძღვნილი პირველი წიგნის გამომცემელს, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორს **ნოდარ დონაძეს** დაბადების 80 წლისთავს ვულოცავ, ბედნიერ, ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებებს ვუსურვებ თავის დაუცხრომელ მრავალმხრივ მოღვაწეობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი
გალაქტიონ ღლონტი.

რვა ათეული წლის გასრულებას ვულოცავთ ბატონ **ნოდარ დონაძეს,** ყველა ადამიანური ღირსებით შემკულ პიროვნებას, ოცი წლის შემდეგ საუკუნოვან იუბილესაც მივულოცავთ დიდი სიყვარულით.

კოლეგები
და მეგობრები

ოზურგეთის 2017 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი გიორგი გოგოლაურის გამარჯვებით დასრულდა

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დასრულდა ოზურგეთის 2017 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჭადრაკში, რომელშიც მუნიციპალიტეტის 10 რჩეული მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონატისადმი ინტერესს ზრდიდა ის გარემოებაც, რომ მას უნდა გამოვლინა, არამარტო ჩემპიონი და პრიზიორები, არამედ გაერკვია თუ ვინ მიიღებდა გურიის XXII რეგიონალური ჩემპიონატის საგზურს და ვინ მოხვდებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნაკრებ გუნდში გურიის V გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

ჩემპიონატი თავიდანვე საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. მართალია საუკეთესო სამეულში შემავალთა ვინაობა ტურნირის ეკვადრზეე გამოიკვეთა, მაგრამ საპრიზო ადგილების გადანაწილების საკითხი ბოლო ტურამდე გაურკვეველი დარჩა.

საბოლოოდ ფინიშთან პირველი **<u>გიორგი გოგოლაური</u>** მივიდა, რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 7,5 ქულა დაგროვა და მუნიციპალიტეტის ჩემპიონობაც მოიპოვა. . იგი გურიის მოქმედი ჩემპიონია და ბუნებრივია ჭადრაკის მოყვარულებს არ გაკვირვებია მისი ეს წარმატება, თუმცა 7-7 ქულიანი გივი სიმაშვილის და აკაკი გოგუას წინააღმდეგობის დაძლევა ადვილი არ აღმოჩნდა, რაზეც მათ შორის არსებული ნახევარ ქულიანი სხვაობაც მეტყველებს.

დაძაბული აღმოჩნდა II-III საპრიზო ადგილების განაწილების საკითხიც, რაც დებულების თანახმად გივისა და აკაკის შორის დანიშნულ დამატებით მინი მატჩში გამოვლინდა. პირველი ორი 25-25 წუთიანი პარტია ფრედ დამთავრდა. დამატებით 5-5 წუთიანებში 6 პარტია გახდა საჭირო, რომლის მოგებით **აკაკი** გოგუამ ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა,ხოლო გურიის მოქმედი ვიცე-ჩემპიონი **გივი სიმაშვილი** ამჯერად მესამე ადგილს დაჯაბულდა. 6,5 მეოთხე ადგილი ერგო ჩემპიონატის გასული წლის პრიზიორს **<u>ალგუჯა ურუშაძეს.</u>** განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მეხუთე ადგილზე გასული 87 წლის რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-მექანიზატორის **რომან კუტუბიძის** ბრწყინვალე თამაში,რომელიც შემტევი, კომბინაციური სტილით გამოირჩევა. რომ არა ამკარად მოგებულ პარტიებში დასანანად დაკარგული სულ ცოტა 1,5 ქულა,საპრიზო ადგილსაც დიმსახურებდა. წარმატებულად უნდა ჩითვალოს ჩემპიონატში ექსპერიმენტული წესით ჩართული ნიჭიერი და ტიტულოვანი 11 წლის **ანა მეგრელაძის** თამაში. მან შესაძლებელ ქულათა 40 პროცენტი დაგროვა და ძლიერთა შორის საკმაოდ დიდი გამოცდილებაც შეიძინა..

ჩემპიონატში გამარჯვებულები დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომებით და ფულადი პრიზებით

ჩემპიონატი ორგანიზებული იყო გურიის ჭადრაკის ფედერაციის (ზ ანდღულაძე) და ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის (გ. კვანტალიანი) მიერ.

იყიდება

სოფელ ბაილეთში თხილით გაშენებული 0,82 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კაპიტალურად შელობილი ხის „კუხნა“ სახლით. პერსპექტიულია სამოსახლოდ და მეურნეობისათვის. 250 ძირი თხილი მსხმოიარეა, 150 ძირი – 2 წლის. დაგვიკავშირდით: (599) 44 15 49; (599) 03 94 95 (იკითხეთ თამაზი)

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

სკანვორდი



ეკლიანი მცენარე
კოპიტი
კატა
.... გიუნტერი
„არაჩვეულებრივი გამოფენის“ პერსონაჟი
ატომის დამშლელი ფიზიკოსი
ისლანდიის დედაქალაქი
თევზის ძვალი
ილია მოფერებით
მშობელი
ქართული ტელეკომპანია
წელიწადის დრო
კოშკი პარიზში
მაკარონის სახეობა
სამაგიდო თამაში
ტარაბუა
მესამე ნოტი
წყნეთელი გმირი ქალი
გრძელკისერა ცხოველი
პალმის სახეობა
არეულობა
კარგი ამინდი
ანბანის პირველი ასო
მსუბუქი ქარი
ცხენკაცი
ძვირფასი ნივთი
მებაღე
მამაკაცის სახელი
ირაკლი მოფერებით
ხელოვნურად გაშენებული ტყის ნაწილი
სოფელი აბაშაში
ძეხვეულის სახეობა
იტალიური ტელეკომპანია
ფერადკანიანი
მწვერვალის უმაღლესი წერტილი
გუდრონი
სოფელი ოზურგეთში
მუსიკალური საკრავი
პირველი პირის ნაცვალსახელი
მდინარე ციმბირში

№ 39-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ვერიკო ხუხუნაიშვილი; ქალის სახელი — ინდირა; რგოლებით თამაში — სერსო; მოძღვრის სამწყსო — მრევლი; კიდობნის ამგები — ნოე; მიწისქვეშა ბიძგების შემსწავლელი მეცნიერება — სეისმოლოგია; ვაზის ლერწის ნაწილი — რქა; ძლიერი მოჭიდავე - ფალავანი; ლიტერატურული ჟანრი — ესე; რუსი კომპოზიტორი — რახმანინოვი; ინდური ფილმი — ავარა; მიგდებული ძველმანი — ხარახურა; მერაბიშვილის მეუღლე — სალაყაია; ... ჩვენი არსობისა — ჰური; ნაბიჯი ცეკვაში — პა; ვინც ამგს არ აფასებს — უმადური; მდინარე ჩინეთში — ხუანხე; თანავარსკვლავედი — ხომლი; კოშკი პარიზში — ეიფელი; ყველაზე დიდი — უდიდესი; ტირიფისებრი მცენარე — ძეწნა; მინის ჩხირი — წკირი; სადაც მარილისთვის მიდიოდნენ — არზევანი; გაზაფხულის ყვავილი — ენძელა; მარტში რომ მალაზონმა ინატრა — მარწყვი; მამითადის სიმღერა - ნადური; დარტყმა კრივში — ჰუკი; მსახიობი ... აბაშიძე — ლეილა; ანბანის მე-13 ასო — ნ; რეჟისორი ... ღოღობერიძე — ლანა; თმის ბუნებრივი საღებავი — ინა; ვაჟავახიშვილის რომანი — არსენა; სახედარი — ვირი; კურორტი რაჭაში — შოვი; სოკოს სახეობა — ნიყვი.

ქალაქი ოზურგეთი

დასაწყისი იხილეთ №№29-32, 34, 37-39, 2017 წელი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი



ციხე-ქალაქ ოზურგეთის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული კათოლიკე მისიონერთა რელაციონებში. მისიონერთა რელაციონები და ძველი ოზურგეთის ისტორია განუყოფელია.

1622 წელს კათოლიკური მსოფლიოს საჭეთმპყრობელმა; რომის პაპმა გრეგორიო მე-9ემ აკურთხა ხალხთა ევანგელიზაციის ახალი კონგრეგაცია "პროპაგანდა ფიდე". საქართველო იქცა მისი ყურადღების უმთავრეს ქვაკუთხედად. ამ ქვაკუთხედის გარკვეულ მონაკვეთში გურიის ქვეყანასაც გაჩნდა წილხვედრი ადგილი.

"ფიდეს" შექმნიდან ორი წლის შემდეგ პაპმა ურბანო მერვემ სანტა მარია მაჯორეს სასახლიდან „ძველ ოზურგეთში" გურიის მთავარს; კათოლიკოსს მალაქიას, კეთილშობილ ადამიანს" სიტყვა კაზმულად აუწყა:

"... ჩვენ ვაგზავნით თქვენთან ადამიანებს, რომლებიც ხანგძლივი ცხოვრების გზაზე დიდ შრომაში ხმლებით კი არ იარაღდებიან და თავის გარშემო ჯარისკაცებს კი არ უყრიან თავს, არ ეძებენ საუნჯეს, არამედ სწყურიათ მხოლოდ სულის გადარჩენა და ამიტომ სადაც კი ადამიანები ცხოვრობენ, ისინი მეგობრულად უნდა მიიღონ. განა შეიძლება დროისა და მზის გზებზე მოინახოს ისეთი მკაცრი ხალხი, რომელიც უპატივცემულოდ და უხეშად შეხვდება მათ, რომელშიც იგი დაინახავს მათ ბედნიერ მზრუნველს... თუ შენ ყველაფერს შეასრულებ ისე, რომ ჩვენ არ გაგვიცრუვდება იმედები, მაშინ შენი ქვეყნის დიდება გადმოივლის კავკასიის მთებს, პონტოს გასცილდება და რომამდე მიაღწევს, რომელიც გაიგებს მსოფლიოს ხალხების ამ სამშობლოში მცხოვრებთა ტაშისცემას ... შენი კეთილშობილება თავისი წყალობით აღმოუჩენს ამ ქალაქს სამსახურს, რომლის შემწეობით საქართველოში გაგზავნილი რომაელი მღვდელმსახურები, იგრძნობენ თავს არა განდეგილებად, არამედ როგორც საკუთარ სამშობლოში".

სანტა მარია მაჯორეს სასახლეში შემთხვევით არ დაინტერესებულან გურიის მხარითა და მის სატახტოში — ოზურგეთში მჯდომარე მალაქია გურიელით. პოეტურად მეტყველი პაპი ურბანო VIII - ის საგარეო პოლიტიკური თვალთა ხედვაში შემთხვევითობა იმთავითვე გამორიცხული იყო.

კათოლიკური მსოფლიოს "წმინდა ტახტის უზენაესი ხელისუფლების" უერთგულესი ქვეშევრდომი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მოგზაური, პიეტრო დელა ვალე, აქტიური დამცველი საქართველოს ინტერესებისა, რომელსაც თანამეცხედრედ ესვა მშვენიერი ქართველი ქალი — თინათინ ციბა, იგივე მარიუჩა, თეათინელთა მისიონის ცნობილ წევრს, შემდგომში მალაქია გურიელთან დაახლოებულ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანეზეს, სათანადო რჩევას აძლევდა:

"ზახვალ თუ არა საქართველოში, .. პირველ რიგში უნდა შეუდგეთ საკითხის გადაწყვეტას იმის შესახებ, რომ თუ როგორ შეიძლება დაადგინოთ ურთიერთობა საქართველოდან იტალიამდე ყველაზე უფრო ადვილი, მოკლე და უშიშარი გზით, რომლის საშუალებითაც შეიძლება გაგზავნოს არა მარტო წერილები, არამედ წავიდნენ ადამიანები, როცა ეს საჭირო იქნება...

არ უნდა დაგვავიწყდეს რომ გზა შავ ზღვაზე გავლით წარმოადგენს უმოკლესს. ამ გზას მივყეავართ ქართველებთან, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ. ე. ი. იმათთან, რომლებიც ცხოვრობენ ოდიშის ქვეყანაში და ქართველები დადიანის ქვეყანას უწოდებენ, ხოლო თურქები — სამეგრელოს. ეს ძველი კოლხეთია; ან კიდევ გურიელის ქვეყნის ქართველებთან, რომლებსაც ასევე აქვთ გასასვლელი შავი ზღვის სანაპიროზე.

... ამ მიზნით გირჩევთ რომელიმე თქვენგანი წმინდა მამებიდან დასავლეთ საქართველოში დაბინავდეს, მან უნდა შეძლოს საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდეს მთავარი დადიანს და მთავარ გურიელს, რომლებიც ასევე ქართველები არიან.

რაც შეეხება მეფეს (იგულისხმევა თეიმურაზ I) რომელიც ყველა მთავრის მეგობარია და შესაძლებელია მათი ნათესავიც, მაგალითად მთავარი გურიელი, რომლის ქალიშვილი (მამია გურიელის ასული ანა, რომლისგანაც თეიმურაზს ორი ვაჟი, აღ. და ლევანი ეყოლა, ე. გ.) კახეთის მეფის პირველი ცოლი იყო, ამ მეფისათვის არ არის ძნელი წარუდგინოს მათ (დადიანს და გურიელს) წმინდა მამები, ამას იგი სიამოვნებით გააკეთებს".

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყნის საქართველოს და მხარის გურიის ინტერესები გულთან ახლოს მიჰქონდათ: პიეტრო დელა ვალეს, თეათინელთა მისიონის პრეფექტს საქართველოში დონ პიეტრო აკიტაბილეს, წმინდა კონგრეგაციის მდივანს ფრანჩესკო ინგოლისა და წმინდა კონგრეგაციის რწმუნებულს აქილე ვენერიოსს.

კიდევ ერთხელ დავიმოწმოთ სახელოვანი პიეტრო დელა ვალე, რომელიც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თეათინელებს დაბეჯითებით სთხოვს:

"საქართველოში ჩასვლისთანავე შეადგინეთ დეტალური და ზუსტი ინფორმაცია იქაური ხალხის ცხოვრების ყველა საკითხზე. აუცილებელია დაადგინოთ: მეფური სისხლის ყველა მთავრის, ასევე ქვეყანაში ყველა გამოჩენილი პიროვნების — კაცისა თუ ქალის როგორც საეკლესიო, ისე საერო პიროვნების სახელი. ასევე სახელწოდება ქალაქებისა და მნიშვნელოვანი ადგილებისა, გზების, რომლებსაც უფრო მეტად ამჯობინებენ ვაჭრები და მოგზაურები. საჭიროა შეადგინოთ სია ჩვენი მეგობარი ქართველებისა და დაადგინოთ მათი კავშირი იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს ურთიერთობა აქვს; დაზუსტოთ თუ რა საშუალებით და რა გზით ამყარებენ ისინი ურთიერთობას ამა თუ იმ ქვეყანასთან; ვისთან აქვს ქართველებს დამოკიდებულება მტრული, სამარი, ან მეგობრული; ვის ესაზღვრებიან ისინი და სხვა ათასი დეტალი, რომელიც არ უნდა გამოგრჩეთ მხედველობიდან, ნუ დაიზარებთ, რომ ყოველივე ეს სისტემატურად შეგვატყობინოთ".

ეროვერ გოგუაძე

სულთათანა

ლიანა ორაგველიძის ტკივილიანი მოგონება

25 ოქტომბერს სრულდება ერთი წელი მისი სიცოცხლესთან გამოთხოვებისა. განგებამ ინება, რომ ბავშვობის წლებიდან მოყოლებული უახლოესი ურთიერთობა მქონდა დასავით საყვარელ ქალბატონთან, ლეგენდარულ მიხაკო ორაგველიძის ერთადერთ ქალიშვილთან — ლიანა ორაგველიძესთან.

ქალბატონი ლიანა დაიბადა 1931 წლის 30 მაისს, სოფელ შრომაში, მიხაკო ორაგველიძისა და პედაგოგ რაისა ჩხაიძის ოჯახში. როცა მისი მოსწავლეობის წლებს ვიხსენებ, მას ერთდროულად ხელეწიფებოდა, როგორც მათემატიკური, ისე ჰუმანიტარული დისციპლინები. ვერცხლის მედალზე დაამთავრა შრომის საშუალო სკოლა, ასევე წარჩინებით— თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის პირველ საავადმყოფოში, არამიანცის კლინიკაში ენდოკრინოლოგიური განყოფილების გამგედ. მას გვერდს უმშვენებდა ცხოვრების ერთგული თანამგზავრი შალვა (კოკა) კეჯელაშვილი -საქართველოს გეოლოგთა კოჰორტის ბრწყინვალე წარმომადგენელი.

ლიანა ორაგველიძე პენსიაში გასვლის შემდეგ ხშირად იმყოფებოდა მის მშობლიურ სოფელში. 90-იან წლებში, როცა მის პაციენტებს მედიკამენტების შესაძენად თანხა არ გააჩნდათ, განურჩევლად ყველა პაციენტს თავისი თანხით შეძენილი მედიკამენტებით მკურნალობდა.

რაოდენ დასანანია, რომ ამ ქვეყნიდან წახვედი დიდი გულისტკივილით, ჯერ მეუღლის, შემდეგ შვილის —მიხო კეჯელაშვილის ბუნებრივი ჰაერის გაჟონვის შედეგად ტრაგიკულად დალუპვის გამო. ეს მწუხარება უფრო მძიმე გახდა შენთვის, — შენ ვაჟიშვილთან ერთად გარდაიცვალა მისი შრომელი მეგობარი ზაზა ჯაბუა.

ამჟამად ქალბატონ ლიანას ქალიშვილი ნანა კეჯელეშვილი ცხოვრობს ნიუ-იორკში შვილთან, ლიკა ხომერიკთან ერთად. ვაჟიშვილის შვილები —ექიმი ნათია კეჯელაშვილი მუშაობს გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში, ხოლო მეორე შვილი —ლიუდმილა სწავლობს მოსკოვში.

ქალბატონ ლიანა ორაგველიძეს მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება, მაგრამ მას ყველაზე დიდ ჯილდოდ ავადმყოფთა მადლიერი თვალები და გულწრფელი სიტყვები მიაჩნდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული, ქალბატონო ლიანა!

რომან ცეცხლაძე,
ჟურნალისტი, სოფ.შრომა

მენატრები, უზომოდ მენატრები!..
ნონა მამულაიშვილი

„თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი, ახლაც მინათებს შენი მშვენება, შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს არ უწერია გადაშენება"...

სასიქადულო ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის ეს სტრიქონები მთლიანად ესადაგება შენს პიროვნებას, მართლაც მინათებდი ცხოვრებას, შვილო... ძალიან ლამაზი იყავი, როგორც გარეგნული შესახედაობით, ისე სისხლით, ხორცით, გულითა და სულით, ადამიანებთან ურთიერთობით, მაგრამ ეს სილამაზე ზოგიერთი ვაი-ექიმის წყალობით, 8 მარტს შეწყდა შენი მართლაც ლამაზი გულისცემა. ჩამოგაშორეს ოჯახს, ერთადერთ შვილს ბექას, რომელმაც შენს გარეშე ვეღარ შესძლო სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში...

22 ოქტომბერს ხომ შენი დაბადების დღეა, რომელიც კვლავ უშენოდ მოვიდა... ასევე გიყვარდა ქალთა დღე, - 8 მარტი, რომელსაც ახლობლებთან ერთად დიდი სიხარულით აღნიშნავდი და სწორედ ამ ლამაზ დღეს ჩაიფერფლა შენი ლამაზი სიცოცხლეც.

განსაკუთრებით მძიმე დარჩა იგი ჩემთვის, ჩვენ ხომ ერთი ინსტიტუტი და ფაკულტეტიც ერთი დავამთავრეთ, - 18 წელი ერთად ვმუშაობდით. სხვადასხვა შემთხვევებზეც ერთად დავდიოდით და ერთად ვმღეროდით. ძალიან ვამაყობდი შენი შვილებით, რისთვისაც უდიდეს მადლობას გიხდი, დიდად ვწუხვარ, რომ ვერაფრით დაგეხმარე. უცებ გამომეცალე ხელიდან...

უზომოდ მენატრები, გეხვევი და გკოცნი ბევრს...

მამა **ამირანი.**

ცისანა გორდელაძის მოსაგონარი

მოულოდნელად გარდაიცვალა ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის მათემატიკის ყოფილი მასწავლებელი, ცისანა გორდელაძე. იგი დაიბადა 1945 წლის 17 ივნისს სოფელ შრომაში. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, ხოლო 1977 წლიდან ოზურგეთის №5 საჯარო სკოლაში.

იგი იყო კარგი პედაგოგი, დასაყრდენი მეგობარი, კარგი კოლეგა, მეუღლე, სამი შვილის გამზრდელი დედა.

ბოლო ხანს მოძალებულ ავადმყოფოს ვერ გაუძლო. შვილების განსაკუთრებული მზრუნველობისა და ამაგის მიუხედავად, ავადმყოფობამ სიცოცხლე მოუსწრაფა. შემოდგომის მზესავით დაცხრა, მიილია და ღრუბლების მიღმა დაიკარგა მისი ღიმილი, სითბო, სიყვარული, სტუმართმოყვარეობა.

მსუბუქი იყოს მიწა, რომელიც მას მიიბარებს და ღმერთმა მისი სული დაამკვიდროს „ადგილსა მწვანილოვანსა, სადაც მართალი განისვენებენ."

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალიპროფკავშირების ოზურგეთის განყოფილება.

„ლესიჭინემ“ „ბახმაროს“ გაუსწრო, „მაჭახელას“ საბედისწერო მარცხი

ალიონი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონლიგაში („ა“ ჯგუფი), „ლესიჭინემ“ „სალხინო“ დაამარცხა (2:1) და 48 ქულით (15 მოგება, 3 ფრე, 3 წაგება, ბ/შ 46-22) გათამასების სათავეში მოექცა. „მაჭახელამ“ კი საკუთარ მოედანზე წაიფორხილა და გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერთან, სენაკის „ეგრისთან“ 0:1 დათმო მატჩი. მან ამ წაგებით ცხრის სათავეში მოქცევის შანსი დროებით დაკარგა„მაჭახელა“ 45 ქულით (14 მოგება, 3 ფრე, 3 წაგება, ბ/შ 42-16 გათამაშების ცხრილში კვლავ მესამე საფეხურს იკავებს. თუმცა მას, ისევე როგორც „ბახმაროს“ 20-20 მატჩი აქვთ ნათამაშევი.

ოზურგეთის „მერცხალი“ ონში, ადგილობრივ „რაჭასთან“ 0:5 დამარხდა და გათამაშების ცხრილში მე-11 საფეხურზეა. მას „ზანას,“ (25 ქულა), „რაჭას“ (23 ქულა), გარდა გასწრო „საირმემაც“,(22 ქულა).

„მერცხალს“ 21 შეხვედრის შემდეგ 20 ქულა აქვს (6 მოგება, 4 ფრე, 11 წაგება, ბ/შ 32-42). 15 ოქტომბერს იგი საკუთარ მოედანზე „მაჭახელას“ შეხვდა.

თუ ვინ გახდება რეგიონლიგის („ა“ ჯგუფი) გამარჯვებული ამას სავარაუდოდ, 22 ნოემბერს, ჩოხატაურში „ბახმარო“ „ლესიჭინეს“ მატჩი გაარკვევს.

ოზურგეთის გუნდი ტურნირის გამარჯვებულია, სერგი გეწაძე კი - ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი

5-7 ოქტომბერს ქ. ფოთში ჩატარდა ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში 2005-2006 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდნენ ქ. ფოთის, სენაკის, ბათუმის გუნდები. ასევე მონაწილეობა მიიღო ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის გუნდმა. რომელმაც პირველი ადგილი აიღო და ჩემპიონობა მოიპოვა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული

სპორტის განვითარების ცენტრის კალათბურთელთა გუნდის კაპიტანი სერგი გეწაძე. ის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

აღსანიშნავია გუნდის ყველა წევრის განსაკუთრებული მონდომება, რამაც განაპირობა წარმატება. აი, ისინიც: სერგი გეწაძე, გიგი დოლიძე, ლუკა ტრაპაიძე, გიორგი ურუშაძე, გიორგი გოგოლაშვილი, სბა ცერცვაძე, ერეკლე ცერცვაძე, სბა გუდავაძე, ლუკა ხმელიძე. ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ბურჭულაძე, ლაშა ჭანიშვილი, ანასტასია გეწაძე, გიორგი ვასაძე.

გუნდი მოამზადა მწვრთნელმა აზა მჟავანაძემ, რომელსაც ფოთში მადლობა გადაუხადეს კარგი მუშაობისათვის.

გუნდი მადლობას უხდის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს გოჩა კვანტალიანს მხარდაჭერისათვის.

მსოფლიოს საბრძოლო ხელოვნებათა ფესტივალი

21-23 ივლისს ქ. ბათუმში ჩატარდა „მსოფლიოს საბრძოლო ხელოვნებათა ფესტივალი“ სხვადასხვა საბრძოლო სახეობებში. ტურნირში მსოფლის 17 ქვეყნიდან 1300-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

წარმატებით იასპარეზეს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაე რთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის კარატისტებმა და 6 მედალი (1 ოქრო და 5 ბრინჯაო) მოიპოვეს. ოზურგეთელთაგან ლაშა კოსტავა საუკეთესო იყო. ის სხვადასხვა წონით კატეგორიაში 1 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, ხოლო პრიზიორები ნიკა კოსტავა, თორნიკე პოღოსიანი და ლუკა ვანაძე გახდნენ.

გუნდი მადლობას უხდის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს გოჩა კვანტალიანს მხადაჭერისათვის.

ოზურგეთელი ძიუდოისტების წარმატება ზუგდიდში

6-8 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ზუგდიდის მერიის თასზე, რომელშიც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ქალაქების გუნდები, მათ შორის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი.

ოზურგეთელებმა წარმატებით იასპარეზეს. სბა ცეცხლაძემ 55კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი აიღო. მეორე ადგილზე გავიდა 38კგ წონით კატეგორიაში ნიკა სირაძე, ხოლო მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს: 38კგ წონით კატეგორიაში გრიშა ბურდულმა და +66კგ წონით

კატეგორიაში - თორნიკე ქათამაძემ.

გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა დიმიტრი ტულუშმა და დავით ჩიკაშუამ.

აჭარის ღია პირველობაზე მკლავჭიდში

ქ. ბათუმში საყოველდაო ყურადღების ცენტრში მოექცა აჭარის ღია პირველობა მკლავჭიდში, რომელშიც, სხვებთან ერთად, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის 13 სპორტსმენი მონაწილეობდა. ოზურგეთელებმა ამ პრესტიჟულ შეჯიბრში წარმატებით იასპარეზეს, 75 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა გიორგი შუკაიძემ (მწვრთნელი - გიორგი რუსიეშვილი).

ზაზა დამენიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრში ტრადიციულად ჩატარდა ზაზა დამენიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში.

მონაწილეობდა 6 გუნდი: ბერმუხა, საძმო, ფეოლა, გაგარინის ქუჩისა და სპორტის განვითარების ცენტრის გუნდები

ტურნირის გამარჯვებული გახდა სოფელ ლიხაურის გუნდი „ბერმუხა“, მეორე ადგილი დაიკავა გაგარინის ქუჩის გუნდმა. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და თასებით.

„მომავალში ასეთ ტურნირებს უფრო მასშტაბურს გავხდით“, - განაცხადა გამარჯვებული გუნდების დაჯილდოებისას ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორმა გოჩა კვანტალიანმა.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა. (ლ)

7 დღის ამინდის პროგნოზი

16 ოქტომბერი ორშაბათი	17 ოქტომბერი სამშაბათი	18 ოქტომბერი ოთხშაბათი	19 ოქტომბერი ხუთშაბათი	20 ოქტომბერი-პარასკევი	21 ოქტომბერი შაბათი	22 ოქტომბერი კვირა
წვიმა +8+14	მცირე წვიმა +8+11	მზე, ღრუბელი +7+15	მზე, +7+19	მზე, ღრუბელი +11+20	წვიმა +6+14	წვიმა +4+9